თემა 14

სასმელი

Напитки

მთავარი მიზანი:

სასმელის სახეობების შესახებ ლექსიკური მარაგის გამდიდრება

კონკრეტული მიზანი

- გავრცელებული სასმელის სახეობების სახელწოდებების სწავლა
- სასმელებს შორის განსხვავებების შეცნობა
- სასმელების თვისებები მოკლე დახასიათება
- სასმელების მიმართ საკუთარი დამოკიდებულების გამოხატვა
- სასმელსა და საკვებს შორის განსხვავების გააზრება

ლექსიკური მარაგი	ძირითადი ფრაზები და წინადადები
სასმელი. წყალი, ჩაი, ყავა, ლიმონათი, წვენი. ცხელი, ცივი, გაზიანი, საზიანო. საჭირო. სასარგებლო. საყვარელი. ტკბილი. დალევა. ვსვამ. ვჭამ	წყალი საჭიროა, მე ბევრ წყალს ვსვამ. ჩაი ცხელი სასმელია. ყავა ცხელი სასმელია. ლიმონათი ტკბილია. ლიმონათი გაზიანია. მე მიყვარს ლიმონათი. წვენი ტკბილია. წვენი სასარგებლოა. წყალი, ჩაი, ყავა, ლიმონათი, წვენი სასმელია. პური, კარაქი და თაფლი საჭმელია.

აქტივობა 1 - მე მიყვარს

გააკართი დაფაზე პლაკატი, სადაც გამოხატულია ფინჯანი და ლამბაქი ლიმონით და ორთქლი. ასევე ფინჯანი, რომელშიც პატარა ჩაიდნიდან ყავა ისხმება და ორთქლი ამოდის, ჭიქა წვენით, ლიმონათი ბოთლი, წყლის ჭიქა.

სთხოვეთ ბავშვებს, დაასახელონ ქართულ ან მშობლიურ ენაზე თითოეული სასმელი. დაეხმარეთ ბავშვებს იმ სახელების ქართულად დასახელებაში, რომლებსაც არ იცნობენ.

აქტივობა 2 - ვჭამ თუ ვსვამ?

დაურიგეთ ბავშვებს სამუშაო ფურცლები, რომლებზეც მათთვის წინა გაკვეთილებიდან უკვე ნაცნობი საკვებია მოცემული და ასევე ის სასმელები, როლებიც უკვე გაიცანით პლაკატის საშუალებით.

ერთი ფურცელი ხელში აიღეთ, მიუთითეთ თითოეულ ნახატზე და იკითხეთ:

- ეს რა არის?
- ეს პურია
- პურს ვჭამ თუ ვსვამ?
- პურს ვჭამ. პური საჭმელია. ამასთან, მიმიკით და პირის მოძრაობით აჩვენებ ბავშვებს, როგორ ჭამთ პურს.

  გაიმეორეთ ყველა საკვებსა და ყველა საჭმელზე. ეცადეთ, ბავშვები წაახალისოთ, რომ თქვენთან ერთად დასვან კითხვები და უპასუხონ. გაამეორებინეთ დიალოგი რამდენიმე წყვილს ყველას გასაგონდა.

აქტივობა 3 - ცივია თუ ცხელია?

დაურიგეთ ბავშვებს სათამაშო ჭიქები. თქვენ კი მიუბრუნდით პლაკატს და ინტონაციით და შესაბამისი ჟესტიკულაციით აჩვენეთ, რომ ცხელი ჩაის ფინჯანთან მიკარებისას, ხელი გეწვით. იგივე გააკეთეთ ყავის ფინჯანთან მიმართებითაც. სხვა სასმელებთან თამამად მიიტანეთ ხელი და დაახასიათეთ ისინი: წვენი - ტკბილია. წვენი სასარგებლოა. ლიმონათი გაზიანია. ლიმონათი ტკბილია. წყალი საჭიროა.

ახლა კი, მიუახლოვდით ბავშვებს და სათითაოდ „დაუსხით“ სასმელი, და თან ხმამაღლა გამოაცხადეთ: „ნინოს ვუსხამ ჩაის!“ - ნინო, ფრთხილად შენი ჩაი ცხელია! სთხოვეთ ნინოს გაიოროს, რომ მისი ჩაი ცხელია. როდესაც ყველა სასმელის მოდელირებას გაივლით, მომდევნო ბავშვებს სთხოვეთ, რომ თვითონ დაახასიათონ თავისი სასმელი.

აქტივობა 4 - მხიარული ლიმონათი

აჩვენეთ ბავშვებს რეკლამა „ზედაზენის“ ლიმონათის შესახებ.

https://www.youtube.com/watch?v=GYhrnjoYQYw

სთხოვეთ ბავშვებს აჰყვნენ რეკლამას ტაშით და ეცადნონ აჰყვნენ სიტყვებსაც.

აჩვენეთ ბავშვებს რეკლამა დუმბაძის ლექსის ნაწყვეტით. ასწავლეთ ბავშვებს ლექსის პირველი კუპლეტი.

https://www.youtube.com/watch?v=sAVhtnGiFOo

დედაც მიყვარს, მამაც მიყვარს, საჩუქრებით მიყვარს მათი
მაგრამ ყველას მირჩევნია ერთი ჭიქა ლიმონათი.

ჟესტებით და ნახატებით აუხსენით, რა არის საჩუქარი.

რესურსები:

ბანერი: 7. სასმელები.